



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

25 იანვარი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №18

კობა საბალაშვილის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – კობა საბალაშვილი მივლინებულ იქნეს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ ფარგლებში საჯარო მოხელეებისათვის „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მიერ ჩატარებულ ტრენინგზე დასასწრებად ქალაქ ფოთში მიმდინარე წლის 26 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – კობა საბალაშვილს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი